საგანმანათლებლო პროგრამა: ქართულად / ინგლისურად

კლინიკური ფსიქოლოგია, Clinical Psychology

უმაღლესი განათლების საფეხური:

მაგისტრატურა

ფაკულტეტი:

სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციის კოდი:

070709

კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი/

სწავლების ენა:

ქართული

პროგრამის მოცულობა (ECTS):

120 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი:

გივი მერაბიშვილი; ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

პროგრამის თანახელმძღვანელი:

სალომე საბიაშვილი; ფსიქოლოგიის მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სპეციალობის გამოცდის შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ან რუსული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი (B2 დონის შესაბამისი) ან გაიაროს ტესტირება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში.

აპლიკანტს, რომელსაც განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ან რუსულ ენაზე, ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

ჩარიცხვის პროცესში პრიორიტეტი მიენიჭება სამედიცინო განათლების და ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა 2 წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი). მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს სულ 120 ECTS კრედიტი,წელიწადში 60 ECTS კრედიტი, სემესტრში ECTS 30.

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. სემესტრი მოიცავს 18 კალენდარულ კვირას (20 კვირას დამატებითი გამოცდის შემთვევაში) შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 36 კალენდარულ კვირაზე (40 დამატებითი გამოცდის შემთხვევაში).

1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრედიტ–საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილკრედიტ–საათს).

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არაუმეტეს 6 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. აქედან 60 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს; 30 ECTS კრედიტი (მინიმუმ) ეთმობა სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს; 6 ECTS - სავალდებულო არჩევით პროფესიულ პრაქტიკას; 24 ECTS კი სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს, - სამაგისტრო ნაშრომის შესრულება–დაცვას.

პროგრამა აგებულია შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

<u>**პირველი სემესტრი**</u> ეთმობა ბაზისურ საგნებს, რომელთაც აქვთ ორი ძირითადი ფუნქცია: 1. შეუქმნას მომავალ მაგისტრს საორიენტაციო ძირითადი კლინიკური რუკა ფსიქოკონსულტირების კერძო მიმართულებებისთვის; 2. უზრუნველყოს პრობლემათა (ფსიქოლოგიური, კლინიკური, ფსიქოდიაგნოსტიკური, ნეიროფსიქოლოგიური) დიფერენცირების შესაძლებლობა.

<u>**მეორე სემესტრი**</u> მოიცავს ფსიქოკონსულტირება/ფსიქოთერაპიის სხვადასხვა მიდგომებს და პრაქტიკაზე დაფუძნებულ საგნებს, ასევე ინკლუზიურ განათლებას, ფსიქიატრიას და მონაცემთა დამუშავებას ინტეგრირებულიკვლევისსტატისტიკური მეთოდებით, რომელიც ამზადებს სტუდენტს პრაქტიკის ნაწილისთვის და კვლევითი ნაშრომისთვის.

<u>მესამე სემესტრი</u>დათმობილი აქვსფსიქოკონსულტირების ჯგუფური,ოჯახური წყვილების და სხვადასხვა ფსიქოლოგიურ პრობლემატიკაზე ორიენტირებულ არჩევით საგნებს.

<u>მეოთხე სემესტრი</u> - მოიცავს:ა)ფსიქოკონსულტირების კერძო არჩევით მიმართულებებს - თეორია და პრაქტიკა, კონტრაქტორ ფსიქოლოგიურ ცენტრებთან და კლინიკებთან, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება და სუპერვიზირებაფსიქოკონსულტირება/ფსიქოთერაპიაში;ბ) სამაგისტრო კვლევითნაშრომს, როგორც შედეგს თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების (განხორციელდება სტუდენტის მიერ ხელმძღვანელთან ერთად).

პროგრამის მიზანი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კლინიკური ფსიქოლოგიის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულის მომზადება ფსიქოკონსულტირებისა და ფსიქოთერაპიის განხრით. ამისათვის სტუდენტს უნდა: ა) შეასწავლოს ფსიქოდიაგნოსტიკის, ფსიქოლოგიური კონსულტირებისა და ფსიქოთერაპიის სტრუქტურა; ბ) გამოუმუშავოს პროფესიული ეთიკის ნორმების და სოციალური ფასეულობების დაცვის უნარი; გ) გამოუმუშავოს პრაქტიკული უნარები, რომ შეაფასოს პაციენტის/კლიენტის მდგომარეობა, განსაზღვრონ რელევანტური კონსულტირების ფორმა და გაუწიოს შესაბამისი ფსიქოკონსულტაცია/ფსიქოთერაპია; დ) შეასწავლოს ფსიქოკონსულტანტის/ფსიქოთერაპევტის საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი მეთოდები; ე) გამოუმუშავოს სამეცნიერო კვლევების განხორციელების უნარები.

პროგრამის სწავლის შედეგები:

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის სწავლის შედეგები:

<u>კოგნიტური სფერო</u>

შედეგი 1. ახდენს ფსიქოდიაგნოსტიკის, ფსიქოკონსულტირებისა და ფსიქოთერაპიული მეთოდების იდენტიფიკაციას; აანალიზებს დიაგნოსტიკური და კონსულტირება/თერაპიული მეთოდებისა და მექანიზმების ღირებულებით და თვისებრივ ფუნქციებს; გამოყოფს მსგავს და განმასხვავებელ მახასიათებლებსა და კანონზომიერებებს, აკეთებს დასკვნებს.

<u>აფექტური (ემოციური) სფერო</u>

შედეგი 2. აცნობიერებს, ითავისებს და იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და ღირებულებებს და მასთან დაკავშირებულ სოციალურ ფასეულობებს.

<u>ფსიქომოტორული სფერო</u>

შედეგი 3. განახორციელებს ფსიქოდიაგნოსტიკურ და ფსიქოკონსულტირება/ფსიქოთერაპიულ საქმიანობას შემდეგ დაწესებულებებში:

- საბავშვო ბაღი
- სკოლა
- სამედიცინო-დიაგნოსტიკური დაწესებულება
- სასჯელაღსრულების დაწესებულება
- სპეც-მასწავლებელი, სპეც-კონსულტანტი ბაღებსა და სკოლებში სსსმ მოსწავლეებისათვის
- ფსიქორეაბილიტაციურ საქმიანობაზე მიმართული არასამთავრობო ორგანიზაციები/ცენტრები
- შსს და თავდაცვის სტრუქტურა

შედეგი 4. კვალიფიციურად იყენებს ფსიქოკონსულტირება/ფსიქოთერაპიის პრაქტიკულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს: ფსიქოდიაგნოსტიკურ კითხვარებს, ტესტებს, კლინიკურ ინტერვიუირებას, ინდივიდუალურ, წყვილურ, ჯგუფურ

ფსიქოკონსულტირების/ფსიქოთერაპიულ მიდგომებს, სპეც-კონსულტანტის მეთოდებს სსსმ მოსწავლეთათვის და შშმ კლიენტებისათვის.

შედეგი 5. იყენებს ტესტირების, ინტერვიუირების, ფსიქოლოგიური კვლევის, მონაცემთა რთული სტატისტიკური პროგრამული დამუშავების მეთოდებს; გეგმავს და ატარებს ექსპერიმენტს; ამზადებს კვლევით სამაგისტრო ნაშრომს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტი იაზრებს საკითხს, სვამს კითხვებს, გამოთქვმს აზრს და ზეპირსიტყვიერად გადმოსცემს სასემინარო მასალას. **წიგნზე მუშაობის მეთოდი** – სტუდენტები მუშაობენ სასწავლო მასალაზე, ასევე დამატებით თუ მოძიებულ ლიტერატურაზე რეფერატის ან ესსეს დასაწერად, პრეზენტაციის მოსამზადებლად; სტუდენტს უჩნდება საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზის და დასკვნების გაკეთების სტიმულირების კარგი საშუალებაა; **წერითი მუშაობის მეთოდი** – მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა ამონაწერებისა და ჩანაწერების კეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება; **დემონსტრირების მეთოდი** – გულისხმობს აუდიო–ვიზუალური საშუალებების გამოყენებით სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, რითაც თვალსაჩინოს ხდის და ხელს უწყობს სასწავლო მასალის აღქმას; **დისკუსია/დებატებისმეთოდი** – არის ინტერაქტიული სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი. კონკრეტული საკითხის გარშემო მაპროვოცირებელი კითხვის შემდეგ, სტუდენტები მსჯელობენ და აკეთებენ დასკვნებს. სტუდენტს უვითარებს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს; **ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი** – სტუდენტების ჯგუფებად დაყოფა და მათთვის სასწავლო დავალების მიცემა უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში; **შემთხვევის ანალიზის (casestudy) მეთოდი** – შემთხვევათა ანალიზი გულისხმობს ერთი კონკრეტული სიტუაციის, პრობლემის განხილვას და მის გარშემო ინდივიდუალურ, წყვილურ ან ჯგუფურ მუშაობას შემდეგი ფორმატით: 1) კონკრეტული პრობლემის,

საკითხის თემის შესაბამისი მასალის ამოცნობა, იდენტიფიცირება; 2) საკითხის ანალიზი: პრობლემის არსის განსაზღვრა, მიზეზების ძიება; ამოცანაში დასმული კონკრეტული მიდგომების შედეგების ანალიზი (რამდენად ეფექტული იქნება ესა თუ ის მიდგომა); 3) დასმული პრობლემის ეფექტური გადაჭრის გზების ძიება. სტუდენტებს უადვილებს დასმული პრობლემის ყოველმხრივ და საფუძვლიან შესწავლას; **როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი** – როლური გათამაშება გულისხმობს დადგმულ, სიტუაციურ თამაშს, რომელშიც სტუდენტები განასახიერებენ სხვადასხვა როლს. სწავლების ეს მეთოდი საშუალებას აძლევს სტუდენტს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს. დაეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება ახსნას და მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ; **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი** – მოითხოვს ლექტორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, რა დროსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია; **ელექტრონული სწავლების (e -learning) მეთოდი** – მოიცავს როგორც დასწრებულ, ასევე დისტანციურ და ჰიბრიდულ მეთოდებს სამივე მათგანი უზრუნველყოფს ეფექტიან კავშირს ლექტორსა და სტუდენტებს შორის, როგორც სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, ასევე სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის მიწოდების კუთხით; **პრაქტიკული მეცადინეობის მეთოდი** – მისი დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობით შესწავლა, რაც სტუდენტს გამოუმუშავებს თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების უნარ–ჩვევებს.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთში გადადის. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება - სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის მიღწევების შეფასება:

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც უნდა დადასტურდეს შეფასების შედეგებით.კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება-სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული კომპონენტების წილისგან შედგება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- შუალედურ შეფასებას - 60 ქულა; აქედან:
  ა) შუალედური გამოცდა - 30 ქულა
  ბ) პრაქტიკული აქტივობა - 20 ქულა (სემინარული გამოკითხვა; ქვიზი; დისკუსია/დებატები; შემთხვევის ანალიზი; როლური/სიტუაციური თამაშები)
  გ) პრეზენტაცია/რეფერატი - 10 ქულა
- საბოლოო გამოცდის შეფასებას - 40 ქულა

დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა და მასზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად სტუდენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიიღოს არანაკლებ 21 ქულა.

შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

დადებითი შეფასებებია:

(A) ფრიადი - 91-100ქულა;

(B) ძალიან კარგი - 81 – 90 ქულა;

(C) კარგი - 71 – 80ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - 61 – 70 ქულა;

(E) საკმარისი - 51 - 60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. შენიშვნა: დამატებითი გამოცდა ინიშნება დასვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F – 0 ქულა.

(F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

სამაგისტრო საფეხურის შემდეგ სტუდენტი შეძლებს სწავლის გაგრძელებას განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა დაშვების წინაპირობაც ითვალისწინებს კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის დიპლომს.

დასაქმების სფეროები

კლინიკურ ფსიქოლოგიაში სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება შრომითი საქმიანობის დაწყება შემდეგ დაწესებულებებში:

- სამედიცინო-დიაგნოსტიკური დაწესებულებები
- ფსიქოსაკონსულტაციო/თერაპიული ცენტრები/კლინიკები
- ფსიქორეაბილიტაციურ საქმიანობაზე მიმართული არასამთავრობო ორგანიზაციები/ცენტრები
- სკოლა

- საბავშვო ბაღი
- სასჯელაღსრულების დაწესებულება
- შსს და თავდაცვის სტრუქტურა

დანართი 1 - სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა მოიცავს:

- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს;
- სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს;
- სავალდებულო არჩევით პროფესიულ პრაქტიკას;
- სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს.

პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აუცილებელია, სტუდენტმა დააგროვოს 120 კრედიტი (საკუთარი სურვილით, შეუძლია პროგრამის დასრულება მეტი კრედიტით), ამასთან, ქვემოთმოცემული პირობების დაცვით:

✓ სტუდენტმა უნდა აითვისოს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 60 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - არანაკლებ30კრედიტის ოდენობით, სავალდებულო არჩევითი პროფესიული პრაქტიკა - 6 კრედიტი, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი- სამაგისტრო ნაშრომი -24 კრედიტი.

მატერიალურ-ტექნიკურირესურსი:

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები. შენობა სრულად პასუხობს

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენ-ტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკო-მუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგ-რამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტრო-ლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდო-მობას.